საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/52

ქ.ბათუმი 16 მაისი, 2018 წ.

ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან/და სწავლის მსურველი უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ ინგლისური ენის ფლობის განმსაზღვრელი ღონისძიების განხორციელების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2018 წლის თებერვალ-მარტში ჩარიცხული უცხოელებისათვის (მე-6 ნაკადი) 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 2 თებერვლის N9 დადგენილების, ,,ბსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის N34 დადგენილების და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ მარინა ქორიძის სამსახურებრივი ბარათის (N31800565892, 14.05.2018) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის N34 დადგენილებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ მარინა ქორიძის სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან/და სწავლის მსურველი უცხო ქვეყნის მოქალაქეების (შემდეგში ,,ჩარიცხვის მსურველი პირი“) მიერ ინგლისური ენის ფლობის განსაზღვრის/დადგენის მიზნით განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

   ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის და სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ერთობლივი ორგანიზებით, განათლების ფაკულტეტის უცხო ენების ცენტრის პერსონალის, ასევე საჭიროების შემთხვევაში საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მხარდაჭერით,

დონის შეფასების მიზნით (ინფორმაცია წინასწარ გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის N34 დადგენილების შესაბამისად);

ბ) დაევალოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანს გამოსცეს ბრძანება ინგლისურ ენაზე გასაუბრების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ შუამავალი კომპანიის წარმომადგენლის და წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტში აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლების მონაწილეობით;

გ) დაევალოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანს, შუამავალი კომპანიის წარმომადგენელთან კოორდინირებული მუშაობით უზრუნველყოს ჩარიცხვის მსურველ პირებთან კომუნიკაცია, გასაუბრების შესახებ მათი წერილობითი ინფორმირება, ხოლო გასაუბრების შედეგად მათ მიერ ინგლისური ენის ცოდნის დონის განსაზღვრა, გასაუბრების მასალების დადგენილი წესის შესაბამისად შენახვა და დაინტერესებული ოფიციალური პირებისათვის მათი ოფიციალური გაგზავნის უზრუნველყოფა;

დ) კომისიის მუშაობის ოქმები და ელექტრონული მასალა შენახული იქნეს საქმისწარმოების შესაბამისად.

2. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს, ქალბატონ თამარ სირაძეს.
3. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, განათლების ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**